



**International
Republican Institute**
1225 Eye St., NW, Suite 700
Washington, D.C. 20005
(202) 408-9450
(202) 408-9462 fax
www.iri.org

დაუყოვნებლოვ გავრცელებისათვის
17 ოქტომბერი, 2013

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) დელეგაცია საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებს დააკვირდება

ვაშინგტონი - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) [International Republican Institute](http://www.iri.org) დააკვირდება 2013 წლის, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოში. ორგანიზაციის დელეგატები მოივლიან საქართველოს საარჩევნო უბნებს და დააკვირდებიან ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურებს. ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, IRI გააკეთებს განცხადებას სადამკვირვებლო მისიის მიგნებებთან დაკავშირებით.

IRI-ის დელეგაციას გაუძღვებიან კონგრესმენი ჯონ შიმპუსი (IL-15) და IRI-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გაეროს ყოფილი ელჩი და პრეზიდენტის ყოფილი საგანგებო დესპანი სუდანში - რიჩარდ უილიამსონი. დელეგაციის სხვა წევრები იქნებიან:

- მანტას ადომენასი - ლიტვის სეიმას წევრი
- ჩარლზ ინგერსოლი - Korn/Ferry International -ის წარმომადგენელი
- ბარი ჯექსონი- Brownstein Hyatt Farber Schreck -ის მრჩეველი;
- თამი ლონგაბერგერი - Longaberger Company -ის აღმასრულებელი ოფიცერი. ასევე, არაბ ქალთა ლიდერობის ინსტიტუტის ([Arab Women's Leadership Institute's](http://www.awl.org)) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და IRI-ის დირექტორთა საბჭოს წევრი.
- კონსტანს ბერი ნიუმანი - IRI-ის დირექტორთა საბჭოს წევრი; აფრიკული საკითხების კომიტეტის ყოფილი თანამემწე და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ([U.S. Agency for International Development](http://www.usaid.gov)) ასისტენტ-ადმინისტრატორი აფრიკის საკითხებში;
- რობერტ ო' ბრიენი - Arent Fox -ის ლოს-ანჯელესის ოფისის პარტნიორი
- კოსტას სასმატოგლუ - ევროპის სახალხო პარტიის ([European People's Party](http://www.europeanpeoplesparty.org)) პრესისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი (კვიპროსი).

IRI-ის თანამშრომლები სხვადასხვა ქვეყნებიდან ასევე ჩართულები იქნებიან სადამკვირვებლო ღონისძიებებში და დახმარებას გაუწევენ მისიის წევრებს. IRI-ის

თანამშრომლებს უხელმძღვანელებს ორგანიზაციის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ჯუდი ვან რესტი [Judy Van Rest](#) და IRI -ის ევრაზიის დანაყოფის რეგიონული დირექტორი - სტეფან ნიქსი [Stephen B. Nix](#).

არჩევნებამდე დელეგაციის წევრები შეხვდებიან საქართველოში ამერიკის საელჩოს, პრეზიდენტობის კანდიდატებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ასევე, ისინი გაეცნობიან საერთაშორისო დამკვირვებლების უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას. შემდეგ კი დელეგატები გადანაწილდებიან მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც დააკვირდებიან საარჩევნო უბნებს, შეაფასებენ საქართველოს საარჩევნო სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებს - კამპანიის რეგულაციებს, ხმის მიცემის, ხმის დათვლისა და შედეგების ანგარიშგების პროცედურებს.

1983 წლის შემდეგ, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი დააკვირდა 150-ზე მეტ არჩევნებს დააკვირდა მსოფლიოს 46 ქვეყანაში, მათ შორის, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო, 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში.

###